# კალენდარი 2009

გისურვებთ ბედნიერ 2009 წელს!

დაე ამ ჟამს, რომელსაც უფალი გვიბოძებს საცხოვრებლად, გავიზარდოთ ,,ასაკში, სიბრძნითა და მადლით ღვთისა და ადამიანთა წინაშე‘‘ (შდრ. ლუკ. 2, 53). ეს კალენდარი დაგვეხმარება, მხედველობიდან არ დავკარგოთ უფლის სიტყვა და შეგვახსენებს ჩვენი ეკლესიის მოვლენებს. წმ. პავლეს ფიგურა შეგვახსენებს, რომ ეს წელიწადი მას ეძღვნება.

უფალმა გაკურთხოთ

✠ ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო

ყოველ დილით ღმრთის ხელიდან ვიღებთ
ახალ დღეს.
ღმერთი გვიბოძებს მის მიერვე
ჩვენთვის გამზადებულ დღეს.
არაფერია მასში არც ზედმეტი და არც ნაკლული,
არაფერია უმნიშვნელო, არც უსარგებლო.
ესაა სრულყოფილი დღე,
ჩვენგან რომ მოელის სინამდვილედ გადაქცევას,
ჩვენ მას შევყურებთ,
როგორც კალენდრის ფურცელს,
აღნიშნულს თვითა და რიცხვით.
ზერელედ ვეპყრობით მას,
როგორც ქაღალდის ფურცელს.
რომ შეგვძლებოდა სამყაროს ამოქექვა
და გვენახა, თუ რაგვარად მზადდებოდა
ამ დღის დადგომა საუკუნეთა სიღრმეებში,
დავინახავდით რა ძვირფასი ყოფილა
ადამიანის ერთი დღე.

მადლენ დებრელი

# I იანვარი

ყოვლადწმიდა დედა ღმრთისა (დდ)
(19.XII) წმმ. ღირსი გიორგი მწერალი და
ძმა მისი საბა ხახულელნი

2009 ხუთშაბათი

რიცხ. 6, 22-27; ფს. 66; გალ. 4, 4-7; ლუკ. 2, 16-21

მშვიდობის დღე ს თ

## დაგლოცოს შენ უფალმა! (რიცხ. 6, 24)

უფალ იესოსაგან დალოცვილები
ვიწყებთ ახალ წელიწადს.
მისი სიტყვა დიდი დალოცვაა, რომელსაც
აღწევს ჩვენს სასმენელსა და ჩვენს გულს.
შეგვეწევა ქმნილებათა შორის კურთხეულის,
ყოვლადწმიდა მარიამის, მაგალითი, რომელმაც
თავმდაბლობით მიიღო მარადიული სიტყვა!

# 2 იანვარი

წმ. ბასილ დიდი
და გრიგორი ნაზიანზელი (მ)

2009 პარასკევი

I იოან. 2, 22-28; ფს. 97; იოან. 1, 19-28 I თ

## მასში დარჩით. (I იოან. 2, 27)

ნათლისღებაში, მირონცხებასა
და სხვა საიდუმლოებში
მიღებული სულიწმიდა
მუდამ გვერდში გვყავს,
რათა შევძლოთ ურყევნი დავრჩეთ
იესოსა და მამის რწმენაში
და თავი არ მოვატყუებინოთ
ცხოვრების სხვა შესაძლებლობებს.

გმადლობთ შენ, სულო წმიდაო,
შენი ერთგული შემწეობისათვის.

# 3 იანვარი

## 2009 შაბათი

I იოან. 2, 29-3, 6; ფს. 97; იოან. 1, 29-34 I თ

### ღმრთის შვილნი ვართ. (I იოან. 3, 2)

შეგვიძლია ვთქვათ,
რომ ვართ ღმრთის შვილნი,
განსაკუთრებით მაშინ, როდესაც
ვიღებთ იესოს ჩვენს ცხოვრებაში.
გმადლობთ, იესო, რომ ნებასა გვრთავ
ვიყოთ შენთან შეერთებულნი, რათა
გვიყვარდეს მამა და დავუჯეროთ მას
და ადამიანები ძმებად მივიჩნიოთ.

ქება, შენს სახელს, იესო!

# 4 იანვარი

შობის შემდეგ II კვირადღე

2009 კვირა

სირ. 24, 1-4.8-12; ფს.147; ეფეს. 1, 3-6.15-18; იოან. 1, 1-8 II თ

## შემოდიოდა წუთისოფელში ნათელი ჭეშმარიტი (იოან. 1, 9)

ერთი კაცი ძალადობით ლაპარაკობდა,
არ იყო მასში სიმართლე;
მისი სიტყვები გულს მიხურავდა
და პირს მიკუმავდა.
მაშინ დავილაპარაკე იესოზე:
მისმა ნათელმა გაიბრწყინა იმ წყვდიადში!

გმადლობ, უფალო იესო, შენი მოსვლისთვის:
შენა ხარ ნათელი ჩვენი, ჩვენი სიცოცხლე!

# 5 იანვარი

## 2009 ორშაბათი

I იოან. 3, 11-21; ფს. 99; იოან. 1, 43-51 II თ

### „საიდან მიცნობ?“ (იოან.1, 48)

იესომ დაინახა ნათანაელი და ამოიცნო
მისი გულწრფელი და თავმდაბალი
ძიება ღმრთის მისა, მესიისა.
მეც ზოგჯერ მიხდება ხოლმე,
დავუახლოვდები ადამიანს
და შევიგრძნობ მასში ძმას ან დას.
შემდეგ კი აღმოვაჩენ, რომ იესო ჰყვარებია!

როდესაც გულში იესოა,
იოლი და მშვენიერია გაიცნო
და აღიარო ერთმანეთი როგორც ძმებმა!

# 6 ი ა ნ ვ ა რ ი

უფლის გაცხადება (დღ)

2009 სამშაბათი

ეს. 60, 1-6; ფს. 71; ეფეს. 3, 2-3.5-6; მათ. 2, 1-12 ს თ

## მოვედით, რათა თაყვანი ვცეთ მას.

(მათ. 2, 2)

ღმრთის ნიჭია, დიდი სასწაული, როდესაც
ვინმე აღიარებს იესო ქრისტეში უფალს,
განკაცებულ ძეს ღმრთისას და მიანდობს მას
საკუთარ სიცოცხლეს.
მრწამს, იესო, რომ შენა ხარ მაცხოვარი
ყოველთა, შენ უბრუნებ ცოდვილ ადამიანს
ღმერთთან ზიარებას. მეც მსურს თაყვანი გცე,
დღეს და სამუდამოდ!
თაყვანსა გცემ შენ ყოველთვის, როდესაც
საკუთარი ცხოვრებისათვის მნიშვნელოვან
გადაწყვეტილებებში შენ დაგეკითხები.

# 7 იანვარი

## 2009 ოთხშაბათი

I იოან. 3, 22-4, 6; ფს. 2; მათ. 4, 12-17.23-25 II თ
შობა ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიაში.

## ვინც იცნობს ღმერთს, ის გვისმენს ჩვენ. (I იოან. 4, 6)

იოანე მახარებელი თავის პირველ წერილში გვასწავლის, არ ვერწმუნოთ პირველსავე აზრს, რაც თავში გაგვიელვებს და ყოველ სიტყვას, რასაც მოვისმენთ, არამედ მივიღოთ და ვიმოქმედოთ იმ სიტყვებითა და მოძღვრებით, რომელთაც მოვისმენთ მათგან, ვინც იცნობს იესოს და აღასრულებს მის ნებას.
ისინი, ვინც შენ მიგიღო, იესო, შუქია ჩვენი ცხოვრებისათვის.

# 8 იანვარი

2009 ხუთშაბათი

I იოან. 4, 7-10; ფს. 71; მარკ. 6, 34-44 II თ

## იესომ უამრავი ხალხი რომ დაინახა, შეებრალა ისინი (მარკ. 6, 34)

მამამ მოავლინა იესო,
რათა მოენიჭებინა თვისი სიყვარული.
შეჭირვებულთა შემყურე როდი გაურბის მათ,
არამედ ჩერდება მათთან დასახმარებლად.

გმადლობთ, იესო, რომ დღესაც,
იმათი ხელით, ვისაც უყვარხარ,
შენ – რჩევითა თუ გამხნევებით – შეეწევი
მრავალ შეჭირვებულ ადამიანს.

# 9 იანვარი

## 2009 პარასკევი

I იოან. 4, 11-18; ფს. 71; მარკ. 6, 45-52 II თ

## მთაზე ავიდა სალოცავად. (მარკ. 6, 46)

იესო ხშირად
განმარტოვდებოდა ხოლმე სალოცავად!
მას სწადდა მამის ჩანაფიქრთა ცოდნა,
რათა მისი სასუფეველი დამდგარიყო.
ამჯერად მას სთხოვენ მივიდეს მოწაფეებთან
ღამით, აღელვებულ ზღვაზე სვლით.

გმადლობთ, იესო, რომ მეც მანიჭებ შენთან
ყოფნისათვის განმარტოების შესაძლებლობას.
გმადლობ მამაცობისათვის, რითაც აღმავსებ,
რათა კვლავაც დავრჩე შენი მოწაფე.

# 10 იანვარი

2009 შაბათი

I იოან. 4, 19-5, 4; ფს. 71; ლუკ. 4, 14-22 II თ

## უფლის სულია ჩემზე. (ლუკ. 4, 18)

სამობაო ჟამის დასასრულ
ეკლესია გვთავაზობს ვუმზიროთ
ჩვენთვის მოსული მაცხოვრის სიდიადეს.
იგი ახორციელებს იმ გეგმას,
რომელიც ღმერთმა, წინასწარ-
მეტყველთა საშუალებით,
მას განუმზადა.
ნაზარეთში აცხადებს,
რომ აღასრულებს იგი
მამისაგან მოვლენილი
სულიწმიდით!

# 11 იანვარი

უფლის ნათლისღება (დ)

2009 კვირა

ეს. 55, 1-11; საგ.ეს. 12, 2-6; 1 იოან. 5, 1-9;
მარკ. 1, 7-11 ს თ

## შენ ხარ ჩემი საყვარელი ძე. (მარკ. 1, 11)

თავად მამა განაცხადებს, რომ იესო
მისი ძეა, ის, ვისაც მოაქვს
წუთისოფელში მისი სიყვარული.
იგია «საყვარელი» ძე, ვინაიდან იგია,
ვინც ყველაზე ერთგულად გამოხატავს და
ახორციელებს მამის სიყვარულის ჩანაფიქრს.

იესო, გიღებთ შენ სიხარულით, როგორც მამის
ძეს. განგვიცხადე მისი წადილი, და შენთან
ერთად ჩვენც აღვასრულებთ მას!

# 12 იანვარი

რიგითი ჟამის I კვირადღე

2009 ორშაბათი

ებრ. 1, 1-6; ფს. 96; მარკ. 1, 14-20 I მ

## მოინანიეთ. (მარკ. 1, 15)

ალბათ, ეს მოწოდება ინსტინქტურად შეგვახსენებს მონანიებასა და სიმკაცრეს. არადა, მოქცევა, რომლისკენაც ვართ მოხმობილნი, არის, ვირწმუნოთ სასიხარულო ამბავი, ვირწმუნოთ სიყვარული ღმერთის რომ აქვს ჩვენდამი და, ამიტომაც, ესაა მის ხელთ მინდობა, მინდობა ყოველ მის სიტყვაზე და მისი წინამძღვრად არჩევა; ესაა, მივყვეთ და თანავიღვაწოთ მასთან.

მაშ, მოქცევა ყოფილა სიხარული, მშვიდობა, სიცოცხლის სისავსე!

# 13 იანვარი

წმ. ილარიონი (მ)

2009 სამშაბათი

ებრ. 2, 5-12; ფს. 8; მარკ. 1, 21-28 1 მ

## შევიდნენ სინაგოგაში, და იგი ასწავლიდა მათ. (მარკ.1,21)

შაბათდღეს იესო თავისი მოწაფეებითურთ
მონაწილეობს სინაგოგის ლიტურგიაში.
წმიდა წერილის საკითხავის შემდეგ
ისიც დგება და განმარტავს ტექსტს.
რაოდენ მშვენიერი უნდა ყოფილიყო
იესოს დამოძღვრის მოსმენა!
ყოველ ჯერზე, როდესაც ვისმენთ
შენს სიტყვას, იესო, შენ განგვაახლებ და
აღანთებ ჩვენს გულებს.

გმადლობთ ამისთვის!

# 14 იანვარი

2009 ოთხშაბათი

ებრ. 2, 14-18; ფს. 104; მარკ. 1, 29-39 1 მ

## ყველა შენ გეძებს. (მარკ. 1, 37)

ყველანი იესოს დაეძებდნენ,
მისგან რაიმე სასწაულისა
თუ გამორჩენის მოლოდინით.
მას კი უფრო ესიამოვნებოდა
ეძებნათ იგი იმისათვის,
რომ გაჰყოლოდნენ მას,
ანდა,
ღმრთის სასუფევლის
საუწყებლად, მის განკარგულებაში
ყოფილიყვნენ.

# 15 იანვარი

2009 ხუთშაბათი

ებრ. 3, 7-14; ფს. 94; მარკ. 1, 40-45 1 მ

## ვერ შეიცნეს მათ ჩემი გზა. (ებრ. 3, 10)

ისრაელიანებმა ორმოცი წელი
იხეტიალეს უდაბნოში თავიანთი
მცირე რწმენის გამო.
ჩვენ არა გვსურს
იგივე შეცდომა
გავიმეოროთ.
შემეწიე, მამაო,
დღეს ჩივილის გარეშე მივიღო
ჩემი მდგომარეობა, შენდამი მონდობით,
რომელიც მიცნობ მე და გვერდში მიდგახარ.

# 16 იანვარი

2009 პარასკევი

ებრ. 4, 1-5. 11; ფს. 77; მარკ. 2, 1-12 1მ

## შვილო, მოგეტევა შენი ცოდვები.

(მარკ. 2, 5)

რატომ ეუბნება თავიდან იესო დავრდომილს:
«შვილო ჩემო, მოგეტევა შენი ცოდვები»-ო,
იმის ნაცვლად, რომ განეკურნა იგი
იმ სენისაგან, რომელიც მას ფიზიკურად
ბოჭავდა და, უძრავი და გამოუსადეგარი,
საზოგადოებას ტვირთად აწვა?

ცოდვა არის პირველი მიზეზი
ყოველი ადამიანის სატკივარისა,
როგორც ჯანმრთელთა,
ასევე ავადმყოფთა.

# 17 იანვარი

წმ. ანტონ დიდი (მ); ღირსნი მამანი: ევარგე, ილია დიაკონი და სხვანი (IVს.)

2009 შაბათი

ებრ. 4, 12-16; ფს. 18; მარკ. 2, 13-17 I თ

## მართალთა კი არა, ცოდვილთა მოსახმობად მოვედი. (მარკ. 2, 17)

დღეს, უფალო იესო, მოდიხარ
მე ცოდვილის მოსახმობად.
გმადლობ, იმისთვის, რომ ჩემთან ერთად «პურის ჭამა», ანუ ნამდვილი და ღრმა თანაზიარების შემოთავაზება, ძვირი გიჯდება:
მოხველ ზეციდან, შენი მამის წიაღიდან, დედამიწაზე; საკუთარ თავზე იღებ იმათგან კიცხვას, ვინც თავს მართლად მიიჩნევს;
საკუთარ თავს უძღვნი ჯვარზე,
რათა განსწმიდო ჩემი ცოდვა:
გმადლობ, გიღებ, მიყვარხარ, იესო!

# 18 იანვარი

რიგითი ჟამის II კვირადღე

2009 კვირა

I მეფ. 3, 3-10.19; ფს. 39; I კორ. 6, 13-15.17-20
იოან. 1, 35-42 II ჟ

ქრისტიანთა ერთიანობისათვის ერთკვირიანი ლოცვის დასაწყისი

## ჩვენ ვიპოვეთ მესია. (იოან. 1, 41)

ზოგიერთთათვის იესოსთან შეხვედრა გახდა მრავალწლოვანი სულიერი ტანჯვისა და ლოცვის ნაყოფი, სხვებს, კი უფალი თავად გამოეცხადა მათ ცხოვრებაში. გმადლობთ, იესო, მათთვის, ვინც დაგვეხმარა შენთან მოსვლაში. გმადლობთ, მათთვის, ვისი შენთან მოყვანაც შევძელით. გმადლობთ ყველა იმ მორწმუნისათვის, ვინც ეკლესიაში, განსხვავებული ადათ-წესებით, ძალ-ღონეს არ იშურებენ, რათა გააცნონ და შეაყვარონ შენი თავი, რომ შემოკრიბონ შენს ირგვლივ შენი გაფანტული შვილნი.

# 19 იანვარი

## 2009 ორშაბათი

ებრ. 5, 1-10; ფს. 109; მარკ. 2, 18-22 II მ

უფლის ნათლისღება ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში.

## ახალი ღვინო ახალ ტიკებში.

(მარკ. 2, 22)

იესო მოვიდა, რათა მოეტანა მამასთან თანა-
ზიარების თვისი ცხოვრების ზეიმი.
მისით გვავსებს, როგორც ღვინით ტიკებს,
და განაახლებს მთელ ჩვენს ცხოვრებას.

ქრისტიანთა ერთობისათვის
ამ რვადღიანი ლოცვისას თანავილვაწოთ,
რათა მისმა ყველა მორწმუნემ
განიხაროს მისი თანაზიარებით მამასთან.

# 20 იანვარი

2009 სამშაბათი

ებრ. 6, 10-20; ფს. 110; მარკ. 2, 23-28 II მ

## კაცის ძე შაბათის უფალიც არის.

(მარკ. 2, 28)

იესოს მიყოლით ვიღებთ მისგან
ღმრთის შვილთა სიცოცხლეს.
იგი შეგვეწევა ღმრთის სიტყვის
ცხოვრებაში გატარებაში
სულიწმიდით, სიყვარულით,
და არა დამთრგუნველი მონობით.

შენთან, იესო,
გვიმტკიცდება შენს მოსავ ძმათა
ერთობის იმედი.

# 21 იანვარი

წმ. აგნესა (მ)
წმ. აბო თბილელი

2009 ოთხშაბათი

ებრ. 7, 1-3.15-17; ფს. 109; მარკ. 3, 1-6 II წ

## „გაიწოდე ხელი!“ (მარკ. 3, 5)

იესოს ბრძანებას დაემორჩილა
ხელგამხმარი კაცი და, ალბათ
სირცხვილითა და მორიდებით,
ყველა დამსწრეს უჩვენა თავისი
ავადმყოფობა და, განიკურნა.

«გაიწოდე ხელი»!

იქნებ დღეს იესო,
ჩემი რაიმე უძლურების
განკურნების მიზნით მიხმობს
მეც თავმდაბლობითა და სასოებით
გავეხსნა მის რომელიმე მსახურს?

# 22 იანვარი

წმ. ვიკენტი (ნ.მ)

2009 ხუთშაბათი

ებრ. 7, 25-8, 6; ფს. 39; მარკ. 3, 7-12 II მ

## იესო ზღვისკენ გაემართა. (მარკ. 3, 7)

იესო ზღვის პირას განმარტოვდა
და მრავალნი მიდიოდნენ მასთან,
ყოველივე იმის ნახვის შემდეგ,
რასაც ის იქმოდა.
ჩვენც გვრწამს იმ ძალისა,
რაც მას შესწევს
და ვეძებთ მას ლოცვაში,
განსაკუთრებით კი
ამ კვირის მანძილზე,
როდესაც ღმერთს შევთხოვთ
ქრისტიანთა ერთობას.

# 23 იანვარი

2009 პარასკევი

ებრ. 8, 6-13; ფს. 84; მარკ. 3, 13-19 II მ

## შეიცანი უფალი. (ებრ. 11, 7)

ებრაელთა მიმართ წერილში ჩართული
ეს სიტყვა სასიხარულო ამბავია
ყველა ქრისტიანისათვის.
მართლაც,
ნათლისღებაში მიღებული
სულიწმიდა შეგვეწევა,
შევიცნოთ უფალი იესო,
სიყვარულით ვიცხოვროთ მისთვის,
ვიყოთ ერთიანნი, მისი და
ზეციერი მამის სადიდებლად.

# 24 იანვარი

წმ. ფრანცისკ სალელი (მ)

## 2009 შაბათი

ებრ. 9, 2-3.11-14; ფს. 46; მარკ. 3, 20-21 II თ

**იესო მივიდა ერთ სახლში.** (მარკ. 3, 20)

მამაო წმიდაო და სახიერო,
კვლავაც მოავლინე შენი სულიწმიდა
ყველა ქრისტიანში, რათა შევძლოთ
სიყვარულით მივიღოთ იესო გულში,
როგორც მიიღო იგი
წმიდა ფრანცისკ სალელმა,
და ამგვარად აღვადგინოთ
შენი ერის ერთობა!
შეგთხოვთ ამას შენ შენი საყვარელი ძის,
იესოს დამსახურებათა მიერ.
ყოვლადწმიდაო მარიამ
და ყოველნო წმიდანნო, ევედრეთ ჩვენთვის!

# 25 იანვარი

რიგითი ჟამის III კვირადღე

2009 **კვირა**

იონ. 3. 1-5.10; ფს. 24; I კორ. 7, 29-31; მარკ. 1, 14-20 III მ
ქრისტიანთა ერთიანობისათვის ერთკვირიანი ლოცვის დასასრული
არალში შუასერის ეკლესიის დღესასწაული

## მოახლოვდა ღვთის სასუფეველი.

(მარკ. 1, 15)

იესოს დროს ღმრთის სასუფეველზე საუბარი ნიშნავდა იმ იმედის გამოღვიძებას, რომელსაც ამქვეყნიური იმპერიები საუკუნეების მანძილზე ახშობდნენ. ღმრთის სასუფეველი ის სამეფოა, სადაც ღმერთია «მეფე», სამართლიანობასა და მშვიდობაში. 'ღმრთის სასუფეველი ახლოა', ამ სიტყვას მომართავს კვლავაც იესო თითეულ ჩვენთაგანისკენ. თუ ღმრთის სასუფეველი მოახლოვებულა, ეს ნიშნავს, რომ მეფე მოვიდა. მეფე კი თავად იესოა!

# 26 ი ა ნ ვ ა რ ი

წმ. ტიმოთე და წმ. ტიტე (მ)

2009 ორშაბათი

2 ტიმ. I, I-8 ან ტიტ. I, I-5; ფს. 88; ლუკ. 22, 24-30 III თ

## როგორ შეუძლია სატანას სატანის განდევნა? (მარკ. 3, 23)

ისევე, როგორც არ იყო მართალი ის,
რომ იესო სდევნიდა ეშმაკებს სატანის ძალით
(ვინაიდან ეს უკანასკნელი, ნამდვილად არ მოქმე-
დებს საკუთარი ინტერესების საწინააღმდეგოდ),
ასევე შეუძლებელია «სიკეთის ქმნა»,
ნათლად თუ შეფარვით, რამენაირად
ეშმაკთან დაკავშირებული გზებით.
თუკი ზოგჯერ, თავიდან კეთილდღეობის
შეგრძნება გვეუფლება ხოლმე, შემდგომ,
გარდაუვალია ტანჯვის მძიმე საფასური.
განმკურნე, უფალო იესო,
შენი სულიწმიდის ძალით!

# 27 იანვარი

წმ. ნინო მოციქულთა სწორი (დდ)

## 2009 სამშაბათი

დაბ. 12, 1-7; ფს. 95; 1 კორ. 1, 26-31; მარკ. 16, 15-20 ს თ

წმ. ნინოს დების კონგრეგაციის მფარველი

### ვინც ირწმუნებს და მოინათლება, გადარჩება. (მარკ. 16, 2)

,,მოედით მთელ სოფელს'' — ამ სიტყვებში
ვხედავთ წმინდა ნინოს ფიგურას,
რომელიც იღებს პასუხისმგებლობას
და იწყებს მისიონერულ მოგზაურობას,
რომელსაც იგი ჩვენს ქვეყნამდე მოჰყავს.
ამ ზმნებში კი, ,,ვინც ირწმუნებს
და მოინათლბეა, გადარჩება'',
შეგვიძლია ვნახოთ თუ რომელი ჩვენგანი
მიიღებს სასიხარულო ამბავს.

# 28 იანვარი

წმ. თომა აკვინელი (მ)

## 2009 ოთხშაბათი

ებრ. 10, 11-18; ფს. 109; მარკ. 4, 1-20 III თ

**მთესველი სიტყვას თესავს.** (მარკ. 14, 4)

იესო!
შენი ვნებითა და
მკვდრეთით აღდგომით,
გახსენი გული ჩვენი,
რათა შევძლოთ
შენი სიტყვის მიღება.
აქციე იგი კეთილ მიწად,
რომ სიტყვა შენი, მასში დათესილი,
გაიზარდოს და დამწიფდეს,
რათა მოგვცეს სიცოცხლე ჩვენ
და ჩვენს ძმებს.

# 29 იანვარი

2009 ხუთშაბათი

ებრ. 10. 19-25; ფს. 23; მარკ. 4, 21-25 III მ

## დაუკვირდით, რასაც ისმენთ.

(მარკ. 4, 24)

ყოველდღიურად მრავალი რამის
მოსმენა გვიწევს,
მაგრამ იესო ქრისტეს სიტყვა
ყველა სხვა ხმაზე უმჯობესია!
ისაა რომ ყველა სხვას ანათებს.
სიყვარულით გულში შენახული
მისი სიტყვა აღმოაცენებს ჩვენში
წმიდა სიცოცხლეს.

# 30 იანვარი

2009 პარასკევი

ებრ. 10, 32-39; ფს. 36; მარკ. 4, 26-34 III მ

## მოთმინება გმართებთ თქვენ.

(ებრ.10,36)

იესო თავისი სიცოცხლით,
და ყველა მისი წმიდანი მასთან,
ნათელს ჰფენენ ამ სიტყვას:
მათ ეძიეს და შეუდგნენ მამის ნებას,
მისი ბოლომდე შეყვარებით.

სულო წმიდაო, შეგვეწიე!

# 31 ი ა ნ ვ ა რ ი

წმ. იოანე ბოსკო (სალეზიელთა კონგრეგაციის დამაარსებელი) (მ)

2009 შაბათი

ებრ. 11, 1-2.8-19; საგ. ლუკ. 1, 68-75; მარკ. 4, 35-41III თ

## რატომ ხართ ასე მხდალნი? (მარკ. 4, 40)

როდესაც სიძნელეებში აღმოვჩნდებით,
შეიძლება შიშმა შეგვიპყრას.
მაგრამ, თუკი მაშინვე ვირწმუნებთ,
რომ იესო, უფალი, ჩვენთანაა
და ზრუნავს ჩვენთვის,
მაშინ მისი სასოებით
ყოველგვარ შიშს
დავძლევთ.
გმადლობთ, იესო,
შენი სიყვარულისა და
ჩვენს გვერდით ყოფნისათვის!